10 აგვისტო. 1908 ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 56. ყოველ კვირეული ჟურნალი № 56.

გაზეთის მყიდველებს ჟურნალ „ნიშადურის“ ყიდვა შეუძლიანთ წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის სტამბაში.

დაღლილ-დაქანცული,— რეკრეაციის ნახატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე რამე

ზოგჯერ კერა გამქრალია, ნაცარი მისი გაცივებული, მაგრამ იმავე დროს, თურმე, შუაგულში ჰლვივის და შიგ ობოლი ნაკვერცხალი იმალება და თუ ვინმემ ის ნაკვერცხალი გამოჩხრიკა, დაუბერა და აანთო, ახალი კერა გაჩაღდება. სწორედ, ამ ობოლ ნაკვერცხალს მოგვაგონებს ნიჭიც: ის მიმალულია ხოლმე ხალხის გულში უჩინრად და იქ ნელ-ნელა ჰქრება; იმასაც გამოძებნა უნდა, რომ ხელის შეწყობით, სწორ გზაზე დააყენოს კაცმა. ბერძნული თქმულობა, რომ „დიოგენი დღისით სანთლით ეძებდა კაცსაო“, სწორეთ ამას მოასწავებს! — ის ნიჭს ეძებდა, თვარა ისე კაცის სახით პირუტყვს ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდა. ეს ჭეშმარიტება ყოველ დროითია და საყოველთაო, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, ჯერეც არა გვაქვს შეგნებული და ნიჭს არა თუ დავეძებთ, პირიქით ხელსაც ვუშლით საქმით თუ ვერა, ჭორებითა და ცილის წამებით მაინც!...

ორმოცდა ათმა წელიწადმა ჩემ თვალსა და ხელს შუა გაიარა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ფული შეგროვდა სხვა და სხვა მიზნით საქველმოქმედოთ; მილიონზე ნაკლებ არა, თუ არ მეტი და სადღა არის დღეს ის თანხა? თავნი თავნად დაიკარგა და სარგებელი არ შემოგვსლია!... აბა მიმითითონ და მიჩვენონ, რომ რომელიმე ნიჭი, ან საზოგადო მოღვაწე თუ-კი სადმე არიან ჩვენში, საზოგადოებას გამოეზარდოს და ქველ-მოქმედების იმათ რამე მოხვედროდესთ? იმათ მხოლოდ საკუთარის ტანჯვით გაუკვლევიათ გზა, როგორღაც გადარჩენილან და სხვებსავით არ დაღუპულან!...

ვიცი მეთაურები მეტყვიან: ჩვენ ხომ არ შეგვიჭამია? ჩვენ ჯიბეში ხომ არ ჩასულა ის ფულიო? ჩვენ ხელს ვუწყობდით მოსწავლე ახალთაობას და განა ცოტა დაგბრუნებიათ დიპლომიანებიო? — კეთილი და პატიოსანი!... მაგრამ ანდაზა ამბობს: „რაღა მკვდარი და რაღა შინ მოუსვლელიო“? რა გაუკეთებიათ ჩვენთვის იმ დიპლომიანებს?

ილია ჭავჭავაძე, გოგებაშვილი, ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ყაზბეგი და სხ... სუყველა უდიპლომო იყო. ახლა, აბა თქვენ მიჩვენეთ დიპლომიანი მოღვაწე... ამით იმას კი არ ვამბობ, რომ დიპლომი ნუ გინდათ მეთქი!... მაგრამ ჯერ-ჯერობით ცხოვრების გზა ისე უკუღმართად არის ჩვენში მიმართული, რომ დღევანდელი დიპლომი ხელს უშლის საქვეყნო შრომას. ავიღოთ დიპლომიანი იურისტი. როგორ უნდა მოიხმაროს დიპლომი? უნდა წავიდეს ადვოკატად: მხოლოდ თავის ჯიბეზე იფიქროს, ხალხი ატყავოს!... ან და შევიდეს „ჩინოვნიკად“ და ეს ხომ კიდევ უარესია? აქაო და ჩემიანების მიდგომა არავინ დამწამოსო, ხელს იღებს ქართველობაზე. თუ ექიმია, დრო აღარა აქვს, რომ საზოგადოზე იზრუნვოს; ის მარტო მაჯის ნახვასა და ენის გამოყოფას უნდება!... და თუ მასწავლებელი, კიდევ უარესი: უნდა იხელმძღვანელოს იმ პროგრამით, რომელიც ქართველს ამახინჯებს. ასე რომ დიპლომი ჯერ-ჯერობით ხაფანგია ჩვენთვის და სხვა არაფერი.

ამას მე უმეტესობაზე მოგახსენებთ და არა საყოველთაოთ!... ამ ზემოხსენებულებში ათასში ერთი თუ გამოერევა საზოგადო მოღვაწე დიდი ღვთის წყალობაა და ჩვენც არ შეგვიძლია არა ვსთქვათ: „დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნიაო“. საზოგადოთ ქართველს არ ესმის „საზოგადო ქველმოქმედება“, მიტომ-კი, არა რომ ის კეთილი, ან გულ უხვი არ იყოს! არა!... მხოლოდ ერთხელვე გადაგდებული აქვს გულიდან „საზოგადო“. ჩვენი მეზობლები, სომხები-კი შეგნებული არიან: მისთანა არვინ მოკვდება, გინდა ღარიბიც იყოს, რომ საქველმოქმედოდ არა დაგდოს რა!... და ქართველები-კი, რამდენ მდიდარს ოხრად დარჩენია ქონება და საზოგადო არა გახსენებია რა!... არ დამავიწყდება, ცეცხლის ასოებით მაქვს დაბეჭდილი გულის ყურზე ის შემთხვევა, რომ სარატოვის შიმშილობის დროს დიდ-ძალი შეწირულობა წავიდა საქართველოდან და ამ ჩვენ ქიზიყში, რომ შიმშილობა იყო, კრინტიც არავის დაუძრავს!

დიდი ხანია რაც უნივერსიტეტებში კასები არსებობს; იქიდან სტუდენტობის დროს ბევრს გაუტანია ფული და აბა თუ მერე ცხოვრებაში, რომ გამოსულა, ორს-სამს გარდა, ვისმეს გახსენებოდა დაბრუნება? რას ნიშნავს ეს ან წამღებისა და ან მიმღების მხრით თუ არ დაუდევრობას? მართალია ამ ბოლოს დროს გამოჩნდა ორი ქველ-მომქმედი! დ. სარაჯიშვილი და ძმ. ზუბალაშვილნი, მათი ყოველ წლიური შემოწირულება დიდია, მაგრამ ვერც იმათ შემოწირულებას მოაქვს ის ნაყოფი, რაც მოსალოდნელია. მაგრამ ეს შემომწირველების ბრალი კი არის, იმ მეთაურებისა და წინამძღოლების, რომელნიც „ჩემიან-შენიანობითა“ და „მისწრებით“ სარგებლობენ და არა ნიჭით. საზოგადო ქველ-მოქმედება და სტიპენდია მისთანებს უნდა მოხმარდეთ, რომელნიც რამეს აკეთებენ და ან მომავლისთვის იმედს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლევიან. ისიც სესხად უნდა მიეცეთ, მაგრამ ეს ჩვენში ასე არ კეთდება. მოვიყვან მაგალითს. ერთი ყმაწვილი, არა მდიდარი ოჯახის შვილი, უმაღლესს სასწავლებელში გამოიზარდა სხვების დაუხმარებლად წვითა და დაგვით. რომ ჩაიგდო დიპლომი ხელში სამსახურში შევიდა, მაგრამ მაინც კიდევ ქართულად უცემდა გული: „ჩვენი წარსული გულსა სწყვეტდა, აწმყო აღონებდა და მომავალზე კი იმედს არ ჰკარგავდა.“ ამას მისი კორესპონდეციები ამტკიცებდა, რომელსაც ა. ფრონელს აწერდა ხოლმე. ის სხვებსავით კუჭს არ გადაჰყოლია, ისარგებლა შემთხვევით და ჯამაგირით და საკუთარის ხარჯით გამოსცა ორი წიგნი: „ამბიხება კახეთისა“ და „მთიულეთი.“ ეს წიგნები ისეთი არიან, რომ ვისაც კიდევ ქართველობა სწამს, უნდა ჰქონდეს შეძენილი, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ხელსაც არავინ ჰკიდებს!.. და რა მიზეზია? ის რომ ჩვენი დღევანდელი მწიგნობრობის საქმე ცრუ მოღვაწეების წყალობით უფსკრულშია გადაძახებული: პატარა წიგნაკი, გინდ უგნურებაც იყოს, თუ კი ფასად შაური აწერია, სახალხო ჰგონიათ და ავრცელებენ. წინააღმდეგ. სხვა წიგნი გინდ სისხლით და ცრემლით იყოს შედგენილი და გრძნობა-გონებით სავსე, თუ ზედ ერთი შაური არ აწერია ფასად, ყველა გვერდს აუვლის!.. ნაწერს არშინობითა ჰზომავენ, თითქოს შეშა იყოს!.. და ფრონელის წიგნს-კი ფასად ერთი მანეთი აწერია, ეს წიგნი რომ სხვაგან სადმე, სხვა ხალხში გამოსულიყო, მისი ავტორი უზრუნველი გახდებოდა, მაგრამ აქ-კი ერთიც არ გაყიდულა და რაც დაუხარჯავს, იმას ავტორი თავისს ღღეში ვეღარ აიდგენს!!. ამ ავტორს „საქართველოს უკანასკნელი დროება“ მაგალითად „სოლომონ მეორე“ და სხვანი დამთავრებული აქვს, მაგრამ თვითონ რომ სამსახურში აღარ არის და ჯამაგირი აღარ ეძლევა, აღარ შეუძლია, რომ თავის საფასურით მოიტანოს მსხვერპლი და რჩება ისე დაუბეჭდავი. რას შვრებიან ჩვენი მეთაურები და წინამძღოლები? ეჰ, აღარას ვიტყვი... ვიტყვი მხოლოდ იმას, „ვაი რომ შეძლება არა მაქვს, თორემ ამ წერილით არც ჩემ თავს შევიწუხებდი და არც მკითხველს შევაწუხებდი!. . დრო კია, რომ ფარისევლობას, საზოგადო საქმეში მაინც, ბოლო მოეღოს და გზა-ჯვარადინზე, სხვების დასანახავად ლოცვა აღარ იყოს!... საქმე სულ სხვას მოითხოვს და ჩვენ-კი მხოლოდ ენებათა ვართ გადაქცეული და იმასაც ვერ ვახერხებთ.

აკაკი

გლეხი

ელავს ნამგალი. დაყურსულ ფენას
შეუჩერებ ივ გააქვს შრიალი
და გლეხის ღიღინს, ვით გლოვის ნანას,
ბანს ეუბნევა ნამგლის წკრიალი.

დღეს მომკის სრულებ, ხვალე გაჰლეწავს,
ხვავი დადგება ბარაქიანი,
მაგრამ მის სარჩოს სხვა ჩაიჯიბავს,
ის კი დარჩება თვალცრემლიანი.

ი. მჭედლიშვილი

დედაკაცი და პოლიტიკური უფლებანი

მოვიჩისა

I

„დედანი თქვენნი ეკკლესიასსა შინა ჩუსდუმნეთ, რამეთუ არა ბრძანებულ არს მათდა სიტყვად, არამედ დამორჩილებად, ვითარცა სჯულიცა იტყვის; ხოლო უკეთუ სწავლის რაიმე უნდეს, სახლსა შინა თვისთა ქმართა ჩკითხვეთ მათ, რამეთუ სძაგელ არს დედათა ეკკლესიასსა შინა ზრახვად...“ ასე მოგვითხრობს მოციქული პავლე თავის მოწოდებაში კორინთელებისადმი (24—34. 35).

ამავე სიტყვებს იმეორებს მე-19 საუკუნეში დიდი ატეისტი და ღვთის უარმყოფელი შომმეტი, რომელიც იყო საფრანგეთის დიდებულ რევოლიუციის დროს უმაავრესი ხელთ-მძღვანელი რევოლიუციონურ კომმუნისა. „დიდებული“ შომმეტი აშფოთებული გაიძახის შედეგ სიტყვებს: „ნუ თუ დიდი ხანია რაც დედაკაცებმა მიატოვეს აკვანი და შვილები თავისი, რომ გამოდიან საზოგადო ასპარეზზე, ადიან ტრიბუნაზე და დაცდებენ მოვალეობაზე, რომლის შესრულება მხოლოდ მამაკაცებს მიუსაჯა ბუნებამ.?!“.

მოციქული პავლე და უღვთო შომმეტი, მოსე და შოპენგაური, ინდოეთის კანონის წიგნები მანუსი და თოთქმის სუყველა კანონების წიგნები აწინდელ კულტურულ კაცობრიობისა თითქოს გულის გასაგმირავად ერთი მეორეს მსგავსია და ერთ ხმად ამტკიცებენ: „დედაკაცი—უფრაზი ბავშვია, რომ უმართებულოა დედაკაცის ეკკლესიაში მუსაიფი, ტრიბუნაზე ასვლა, მონაწილეობის მიღება პოლიტიკურ საქმეებში.“ და სხვ...

თუ კი დაკვირებით განვიხილავთ ეკონომიურ და ისტორიულ მოვლენებს, რომელთაც შექმნეს დედაკაცების ასეთი მდგომარეობა, ერთად-ერთს დასკვნას დავადგებით: კანონის წიგნები მანუსი, თანამედროვე სამოქალაქო სასამართლოს დებულებანი, მოსეს ადათი და შომმეტის სიტყვები—ყველა ეს შექმნილია მამაკაცებისა-

გან—დედაკაცებისათვის, განსაკუთრებით თავიანთ მამაკაცური ინტერესების დასაცველად.

II

თუმცა, რამოდენიმე ათასი წლის განმავლობაში, მამაკაცები ცდილობდნენ, რომ დაემყარებიათ დედაკაცების მდგომარეობა საფრანგეთის წეს-რიგზე „un animal, qni s'habille, et se deshabille,“ მაგრამ მაინც ვერ მიაღწიეს თავის მიზანს. მათის შეხედულობით დედაკაცი უნდა ყოფილიყო მონა კაცისა მეუღლე, საყვარელი, დედა-ქალი, აღმზდელი თვისი შვილებისა .. მაგრამ მიუხედავათ ამისა; დედაკაცები დღესაც არიან შურის მაძიებელნი მამაკაცებისა, და ყოველ ღონის ძიებით ცდილობენ და იბრძვიან, რომ როგორმე მოიპოვონ კაცობრივული უფლებანი.

დედაკაცების პირველი და უმთავრესი შურისძიება და იარაღი ბრძოლისა არის ის სიცრუვე და თვალთმაქცობა, რომელსაც დღეს განიცდის კაცობრიობა აბა დააკვირდით და დარწმუნდით, რომ რიცხვი კანონიერ ქორწინებისა თანდათან კლებულობს, რაიც ხელს უწყობს პროსტიტუციის გაძლიერებას, menag, en trois... ამნაირად ოჯახში შეიქმნა ჩვეულებრივი მოვლენათ, რომ რიცხვი ახალ-გაზდა დედაკაცებისა, რომლებიც ვერ ჰპოულობენ საქმაროებს შეუწყვეტლად მატულობს, რომ უშვილო ქორწინება, ანუ უკეთეს შემთხვევაში - zweikinder-sytem—უფრო და უფრო ვრცელდება და მატულობს. ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად საფრანგეთში უშვილობა უკვე ეროვნულ საკითხად გადიქცა და საფრანგეთის ხალხის თვითარსებობისა გადაგვარებას უქადის.

„წმინდა საოჯახო კერა“ დღეს მეფისტოფელის გესლიანი დაცინვაა. ვისაც-კი აქვს სმენა და მხედველობა ატყობს, რა სისწრაფით მატულობს ვენერიული ავათმყოფობა ეხლანდელ საზოგადოებაში, რა საშინლად ირღვევა და იქცევა ოჯახი და კერა.

თავი დავანებოთ სიცრუეს და ვილაპარაკოთ სიმართლე.

უკვე არ არსებობს სიყვარული, რადგანაც არ არსებობს თავისუფლება, თანასწორობა და დამოუკიდებლობა ურთი-ერთ შორის. არ არის სინიდისიერი ქორწინება, რადგანაც ის დიდი ხანია გარდიქმნა ვაჭრობის საგნად. არ სუფევს ოჯახი, რადგანაც ძველებური სიმართლის და სიწმინდის ნაყოფი უკვე შეიქმნა „წარსულ წლების ზღაპრად“. ჩვენი დიდებული რომეო და ჯულიეტა გულმოდგინეთ ეძებენ ჟურნალ-გაზეთებში „პრეზერვატივების“ განცხადებებს; გაზეთებიც, რასაკვირველია, უარს არ ამბობენ ამგვარ განცხადების დაბეჭდვაზე გინდა იყვეს, დემოკრატიულის გინდ რეაქციონულის მიმართულების, რადგანაც ჩვენი ცრუ, ხავს მოკიდებული და დახშული საზოგადოება განიყოფება სხვა და სხვა პარტიებათ.

არ სუფევს სიწმინდე ოჯახისა და თანაბარი მისწრაფებანიც ურთი-ერთ შორის, მამაკაცისა და დედაკაცს შუა.

არ სუფევს ოჯახი, ვინაიდგან დედაკაცი გარიყულია შეუბრალებელ თვითარსებობის ბრძოლის ველზე, და ჩვენ ვიხსენიებთ მათ ზიზღით.

არ სუფევს აღმზდელი ბავშვებისა, რადგანაც ჩვენ ბევრი ღონის ძიება ვიხმარეთ, რომ დედაკაცი გარდაგვექმნა უთავბოლოთ, ფუჭ და უვარგის არსებათ; animal qvj s'habille, habille et se deshabille. დედაკაცი დაბალი ხარისხის ჩვენ დავტანჯეთ მუშაობით, მოვწამლეთ პროსტიტუციით, მხოლოდ დედაკაცი-კი მაღალ წრისა გარდავქმენით გასართობად, ტიკინად და დავაჭეშმარიტეთ შემდეგი ფორმულა: „დედაკაცი—მონა მამაკაცისა—მეუღლე, დროებითი საყვარელი, დედა-ქალი, აღმზრდელი ბავშვებისა“.

III

დედაკაცმა ბრძოლით უნდა მოიპოვოს თვისი ადამიანური თავისუფლება, რათა შეეძლოს მონაწილეობის მიღება თავისუფლად ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმეებში. ჩვენ აშკარად ვხედავთ, რომ დედაკაცი მიისწრაფის პოლიტიკურ მოღვაწეობისაკენ, ნათლადაც გრძნობს, რომ თვის ადამიანურ უფლებების დასაცველად დედაკაცი თვითონ უნდა გამოვიდეს ბრძოლის ველზე და გამოვა კიდეც.

დედაკაცი ნელის ნაბიჯით მიდის წინ; ვინაიდგან გაიგო ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ადამიანის ხელთ არის ის უფლება, რომლის მოპოვება და დაცვა თვითონ მას შეუძლია. დედაკაცმა ნათლად დაინახა, რომ მამაკაცმა მიიყვანა კაცობრიობა იმ ბნელ და უსინათლო კუთხემდე, სადაც გათახსირება და ურწმუნოება ბინადრობს.

იყო დრო, როდესაც მესამე წოდებას ჰქონდა მხოლოდ ის, რასაც მათ უბოძებდნენ პირველი ორი წოდება, და დღესაც კი მეოთხე წოდებას აქვს ის, რის წაღებასაც იგი მოახერხებს; თავის უფლებათა მოსაპოვებლად და დასაცველად მეოთხე წოდება მიისწრაფის პოლიტიკურ ძალ-ღონის მოსაპოვებლათ. რასაკვირველია, დედაკაცებმაც უნდა მიბაძონ მათ, იბრძოლონ, მოიპოვონ პოლიტიკური ძალ-ღონე, თვითონვე უნდა ადგინდენ კანონებს და წესებს, ხოლო ამისათვის საჭიროა შეკრება ძალ-ღონისა რომ მათაც დაუბრკოლებრივ შეეძლოსთ თავიანთ ადამიანური და ვრცელ უფლებების შექმნა!

IV

დედაკაცების ბრძოლა პოლიტიკურ უფლებების მოსაპოვებლათ უკვე დიდი ხანია სწარმოებს, და თან და

თან ახლოვდება სანატრელი დღე მათის გამარჯვებისა. დედაკაცების გმირულმა მონაწილეობამაც-კი საფრანგეთის დიდებულ რევოლიუციის დროს არ მიანიჭა მათ არაფერი, პირ-იქით დამფუძნებელმა კრებამ უარ ჰყო მათი პეტიცია, რომელშიაც ისინი ითხოვდნენ „დედაკაცთა უფლებების აღდგენას“... როდესაც გამოიცა „დეკლარაცია ადამიანის უფლებებისა“, მაშინ აღმოჩნდა რომ ადამიანის ცნებაში დედაკაცი არ შედის. ოლიმპია დე-გუჟ-ს, რომელმაც წარუდგინა მთავრობას „დეკლარაცია დედაკაცთა უფლებებისა“, მიუნიჭეს და მიუსაჯეს ტრიბუნის ნაცვლად ასვლა ეშაფოთზე...

დაახლოვებით იმავე დროს (1792 წ.) ინგლისში გამოვიდა თვალ-საჩინო წიგნი მარია უოლსტანკრაფტისა — „დედაკაცთა უფლებების დაცვა“, და გერმანეთში გიპპელის წიგნი „დედაკაცების სამოქალაქო უფლებების გაუმჯობესობა“.

ამის შემდეგ მოძრაობა წყნარდება. 1848 წ. სენსიმონისტების და ფურიერისტების თაოსნობით მოძრაობა ხელ-მეორედ იჩენს. თავს 48 წ. კონსიდერანი და 51 წ. პიერ ლურუა წინადადებას იძლევიან მიანიჭონ დედაკაცებს პოლიტიკური უფლებები, ამათ წინადადებამ ვერ მოიპოვა თანამგრძნობნი, — სწორედ ისრე როგორათაც ამგვარივე წინადადებამ, რომელიც წარდგენილი იყო 1832 წ. ინგლისის საზოგადო პალატაში რომელსაც იცავდა ცნობილი რობერტ პილი.

1867 წ. ჯედონ სტუარტ მილლ-მა შეიტანა წინადადება პალატაში, რომ მიეხიჭებიათ დედაკაცებისთვის საარჩევნო უფლებები. მაგრამ მის წინააღმდეგ გამოილაშქრა 194 ხმამ, თანაუგრძნო მხოლოდ 73. მიუხედავათ ამისა, 1883 წ. პალატის უმეტესობამ უარი განაცხადა დადგენილებაზე და მიემხრო ჯონ სტუარ მილლ-ს; წინააღმდეგ 16 ხმისა.

1886 წ. ქვემო პალატამ განიხილა პირველ ორ კრებაზე საკითხი დედაკაცთა საარჩევნო უფლებებზე, მაგრამ საუბედუროთ ამავე დროს პარლამენტი დათხოვნილ იქმნა და ამიტომ ეს საკითხი არ იყო მოყვანილი სისრულეში. 1897 წ., როდესაც ქვემო პალატის კრების დადგენილი კანონ პროექტი სისრულეში უნდა მოყვანილ იყო, ლორდების ზემო პალატამ უარჰყო ქვემო პალატის დადგენილებანი.

ამ გვარად ძველი წესი უკან იწევს და არა სურს უბრძოლველად თვისი პოზიციები ჩააბაროს ახალს მოთხოვნილებას.

მაგრამ დედაკაცთა თანასწორ უფლებების პრინციპმა მაინც გაიმარჯვა, რადგანაც ინგლისში დედაკაცები უკვე სარგებლობენ ყოველ გვარ უფლებებით საზოგადო არჩევნების დროს გერმანეთში, საფრანგეთში, ავსტრიაში და იტალიაში უკვე გამოიმტვრა კედ[illegible] მაგრისა.

ვინაიდგან ყოველის მხრივ მწიფდება საკითხი დედაკაცთა საარჩევნო უფლებების მისანიჭებლათ, უეჭველია რომ ამ მოკლე ხანში საასურველად გადაწყდება. მაგალითად, შვეციაში და ნორვეგიაში დედაკაცები სარგებლობენ 1889 წ. აქტიურ საარჩევნო უფლებებით საზოგადო არჩევნების დროს. პატარა ავტონომიურ ფინლიანდიაში კი, 1906 წ. დედაკაცმა ბრძოლით შეიძინა თავისთვის სრული და განუყოფელი თანასწორობა მამაკაცთან.

ამ რიგათ მთელს ევროპას პირველი მაგალითი დედაკაცთა განთავისუფლებისა უჩვენა ფინლიანდიას ავტონომიამ. მიუხედავათ ამისა, ავსტრალიაში ვიომინგის შტატში, 1869 წ. იყო შემოღებული დედაკაცთა საარჩევნო უფლებები. ამის შემდეგ დედაკაცებმა მიიღეს საარჩევნო უფლებები ამერიკის შემდეგ შტატებშიაც: კოლორადოში, არიზონაში, მიზენოტაში, უატხში, ორიგონში, ნებრასკაში, ინდიანაში, იუჟნაში და ვაშინგტონში. წარმოიდგინეთ, სამხრეთ ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში დედაკაცები სარგებლობენ ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებით.

გამოცდილება, რომელიც უკვე თვალ წინ გვიდგა, ნათლად გვიმტკიცებს, რომ დედაკაცთა უფლებების მინიჭება მოიტანს დიდს სარგებლობას და სიკეთეს საზოგადოებისა და კაცობრიობისათვის.

12 ნოემბერს 1894 წ. შესრულდა 25 წ. დედაკაცთათვის უფლებების ძიებისა და მინიჭებიდან. ამერიკაში, ვიომინგის შტატში, ხალხის წარმომადგენლებმა დაადგინეს: მივმართად ყველა ქვეყნის პარლამენტებს, რომ მათაც მიანიჭონ დედაკაცებს საარჩევნო უფლებებიო.

დადაკაცთა საარჩევნო უფლებების მინიჭებით ნათლად მტკიცდება კულტურის უმაღლესობა და საზოგადოებრივი წეს-რიგიანობა და ამასთანავე შემცირება დანაშაულობისა, სიღარიბისა, უსწორმასწორობისა და სხვ..

ვიომინგის შტატის წარმომადგენელთა პეტიცია ასე ბოლოვდება: „დარწმუნებული ვართ ჩვენისავე მაგალითებით და ამიტომ დაჟინებით ვთხოულობთ, რომ თითოულმა განათლებულმა სახელმწიფომ, მთელს დედამიწის ზურგზედ, ნუ ახირდება და მიანიჭოს დედაკაცებს საარჩევნო უფლებანი.“

V

საფრანგეთის რევოლიუციონურ კონვენტში ოლიმპია დე-გუჟ-მა თვისი „დეკლარაცია დედაკაცთა უფლებისა“ დაასაბუთა შემდეგის სიტყვებით; „თუ-კი დედაკაცს შეუძლიან და ნებაც აქვს ეშაფოტზე ავიდეს, მაშასადამე სრული უფლებაც უნდა ქონდეს ტრიბუნაზედაც ავიდესო“...

ყველა სოციალისტურ პარტიების პროგრამაში აღნიშნულია მოთხოვნა დედაკაცთა თანასწორობისა; აქ საჭიროა აღვნიშნოთ რომ დედაკაცს მუდამ უნდა ახსოვდეს, პროლეტარიატის მსგავსად, რომ თვითონვე უნდა დაიცვან თავისი ინტერესები, სხვისი იმედით ნუ იქნებიან და ნურც სხვას ვისმეს მიანდობენ თავის საქმეს, თუნდაც ეგ სხვა თვით პროლეტარიატის პარტია იყვეს.

დედაკაცთა კონფერენციამ, რომელიც მოხდა სოციალისტურ კონგრესსზე შტუტტგარტში, დაადგინა, რომ აუცილებლად საჭიროა შეიტანონ სოც. პარტიების პროგრამაში მოთხოვნილება დედაკაცთა საარჩევნო უფლებების მინიჭებისა. აგრეთვე კონგრესმა დაადგინა: ყველა პარტიამ ეოველი დონის-ძიებით უნდა იბრძოლოს, რომ განახორციელოს დედაკაცთა უფლებანიო!

დიახ! დღეს ეოველმა დედაკაცმა შეიგნო, რომ, მსგავსად მუშაკისა, მასაც შეუძლია ბრძოლით მოიპოვოს თვისი უფლებანი. ამისათვის თავდაპირველად საჭიროა პოლიტიკურ ძალ-დონის მოპოვება, ვინაიდგან ეს არის უმთავრესი საშუალება, ესე იგი, მთავარი იარადი ბრძოლისა, დედაკაცთა ადამიანურის უფლების შეძენისა და სრული განთავისუფლებისათვის.

დათიკო ჭიპაძეს თარგმანი

* * *

მნათობო სული შენკენ მოილტვის,
გრძნობით აღსავსე შენ ერთ შემოგტრფის,
მაგრამ ნათელ სხივს რისთვის მიბნელებ,
შენს მორჩილ გულსა რისთვის აცრემლებ?!

თუ კი სიამეს სულს არ მოჰბერდი,
არცა სიხარულს მაგრძნობინებდი,—
რისთვისა გნახე, რად შეგიყვარე,
გულში ნაზ გრძნობებს რად მიღვიძებდი?

სრულად მივენდე შენს ტრფობის ტალღებს,—
მათ შორს გამტყორცნეს გამოუცდელი;
აწ გარიყული ვდგევარ მდუმარე
და სულს მიტანჯავს სევდა-ნაღველი!

ს. შ—ლი

მე მივალ იქ...

მე მივალ იქ... დედა ჩემო, გთხოვ რომ გამიშვა. აღარ ძალმიძს მეტის მოთმენა... შენ მოხუცი ხარ, მარტო ხელი... ძლიერაც მიყვარხარ, ლმობიერი ცრემლით სავსე შენი თვალები შემომტირიან: „ნუ მიდიხარ, ჩემო კარგო, ნუ მტოვებ მარტოდ! მაგრამ ძვირფასო, ვალი მიწვევს, უნდა წავიდე...

ოჰ, რომ შემეძლოს გადაგიშალო ტანჯული სული, ჩაგახედო ჩემს მღელვარე გულის სიღრმეში, როგორა სტირის, იმდუღრება ჩემი არსება დაქანცული, შებოჭვილი, შეკავებული...

ყოველ დღე და ღამ, მარად ჟამს და მუდამ საათში, მესმის ძახილი, მუდარის ხმა, კვნესა—ტირილი... თავზარდამცემი ხმებისაგან ტვინი მერყევა, სული მიშფოთს, გული ღელავს დაუდგრომელი...

ყოველის მხრიდამ ისმის მწარე კვნესა—ქვითინი. სტირის მთა-ბარი, ტყე-მინდორი, მთელი ბუნება... ისინი-კი... იღიმებიან!.. იღიმებიან ნაზად ტკბილად, მხიარულად და თავხედურად... ხალხთა ოხვრაში ისმის მათი გესლიანი სიცილ-ხარხარი... ოჰ, დედა ჩემო! საზარელია, საზარელი ამის ატანა...

გაიხედე!.. იწვის, იდაგვის მთელი მხარე კიდით-კიდემდე!.. წითელ ფრად არის შეღებილი ლაჟვარდი ცა, მუქი ღრუბლები... ჰაერში სდგას კვამლი, მტვერი და ჟრიამული... გესმის?!? ეს ხალხის ხმაა—მათი კვნესა, მათი ყვირილი... ეს მათი ხმაა, ტანჯულ გულიდამ ამოძახილი...

... „აღზდექით ზეზე!.. მოგვეშველენით!.. შური იძიეთ!“..

მოვდივარ ძმებო! . შორს ყოყმანი, კმარა ლოდინი... დროა წავიდე...

მშვიდობით დედავ, საყვარელო ჩემო მშობელო...

მე მივალ იქ... სადაც ისმის მრისხანე გრგვინვა ულმობელი ჭექა-ქუხილი... სადაც სიმართლე უმკლავდება უსამართლობას... სადაც იღვრება სისხლი გმირთა თავისუფლების, რომ ვამცნო მტარვალთა ძალა და რისხვა შურისძიების!..

ჯაფარა

სად წავიდე?

სად წავიდე ისეთს მხარეს,
არ მეფობდეს ბნელი ძალა
ნეტავ ვინმემ მიმითითოს
დამანახვოს ის ქვეყანა?..

სად წავიდე ისეთ მხარეს,
არ სუფევდეს: მტრობა, შური,
და მის ნაცვლად იყოს ძმობა,
ერთობა და სიყვარული?

სად ვიპოვო მე ის მხარე,—
რომ არ იყოს დატანჯული
და მართალთვის აღარ იყოს
საღრჩობელა აღმართული?..

კ. ენოსისელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძენთა ბრძნული აზრები და პასუხები

— რა არის დაუსრულებელი?

— ცას რომ შეხედო, ცისკამარის მეტს ვერაფერს დაინახავ, ზღვას რომ გადახედო დაუსრულებელ სივრცეს, ხოლო ესდეკურ გაზეთებში აკ. ჩხენკელის დაუსრულებელ „ეროვნულ კითხვას“ (მონადირე)

—

— ვინ არის „შავრაზმელი“?

— ყველა ის დიდი თუ პატარა მოღვაწე, რომელიც გაბედავს ჯ ქართველ მარქსისტების პირახეულ ბელადებს და ლიდერებს პირს აუხვევს! (ანი)

—

— რა განსხვავებაა ავტონომიასა და თვითმართველობას შორის?

— არავითარი და ამიტომ ტყვილა უბრალოდ კამათობენ და დავობენ ესფერების ავტონომია და ესდეკების თვითმართველობა. (აკ. ჩხენკელი)

—

— რა უფრო უყვარს ნოე ჟორდანიას და ანს თავისუფლება თუ დესპოტიზმი?

— თავისთვის უსამზღვრო თავისუფლება, ხოლო სხვებისთვის დესპოტიური აბსოლიუტიზმი.(ლ. დ-შკილი)

—

— რა დასკვნა გამოიყვანე ან. ფურცელაძის წერილიდან? („Закавзіе“ №).

— მხოლოდ ერთი: მთელს საქართველოში ერთად ერთი მატრაბაზი და ოინბაზი მხოლოდ ან. ფურცელაძე ყოფილა. (კ. ერგნელი)

—

— რად იწუნებენ ჩვენებური ესდეკები ახალგაზდა ფილოსოფოსს გრ. რობაქიძეს?

— იმად რომ მის მეცნიერებას ჩრდილავს გაპარსული წვერულვაში და ქუთაისის სემინარია (ის. კვიცარიძე.)

მონადირე

მოკრაობის ხანა

გოლვისგან გამხმარს ტურფა ქვეყანას
ზეციდან ნამი წამოევლინა
ღა მინდორ-ველსა, წყვდიადში მყოფსა,
მნათობის შუქი გადმოეფინა!

გაცოხლდა არე, გათბა მიდამო
ველზედ გაეკრა მცინარე ნამი...
გაიხსნა ვარდი, გაცოცხლდა ია —
ნეტარებისა დაუდგა ჟამი...

ტყეც ახმაურდა... ჟუჟუნა წვიმამ
მთელი მიდამო უხვად აპკურა;
ხარობს ბუნება მზის გულ-უხვობით,
მინდვრად მას ლოცავს ნაზი სამკურა.

ყველას უტკბება ცხოვრების წყარო,
ყველას ევლება მცინარე ნამი
და ნაზ ღიმილით ცას ეუბნება:
„აწ სიცოცხლისა გვიდგება ჟამი!“

დემონი.

ამ დროული იგავ-არაკები

ვისი ხარ გლეხო?

ესდეკი და ესფერი შეეკამათნენ ერთმანეთს: არა, ჩემია გლეხი და არა ჩემიაო.

— შენი რად იქნება; შენზე უფრო ადრე ხომ მე უჭირისუფლეო!— უმტკიცებს ესდეკი.

— იქნება ასეც იყოს, მაგრამ ჩემი ჭირისუფლობა უფრო სახეიროა მისთვის!—არწმუნებს ესფერი.

— ჩემს „ცენტრალიზმში“ იგი უფრო „გასოციალისტდება“ და რაკი „გაპროლეტარდება“ უფრო მალე მიაღწევს ბედნიერებას! .—უმტკიცებს ესდეკი.

— შენი „ცენტრალიზმი“ საღრჩობელაა გლეხისთვის, ხოლო ჩემი ავტონომიური მართველობა, უფრო მალე გაასოციალისტებს და მიწისა და თავისუფლების პატრონად გახდის! —არწმუნებს ესფერი.

სწორედ ამ კამათის დროს შემოხვდათ ქართველი გლეხი. მისცვივდნენ. გასწიეს და გამოსწიეს. კინაღამ შუაზე გაგლიჯეს...

— ვისი ხარ გლეხო? ვისი პროგრამა უფრო მოგწონს?! —ჩააცივდნენ ორნივენი.

გლეხმა თავი მოიქექა და დაღრეჯით უპასუხა:

— ვისი ვარ, თქვენი ჭირიმეთ, და ჩემი ოჯახისა და ქვეყნისა, ხოლო ის „პაგრამა“ უფრო მომწონს, რომელიც „პაგრომს“ ამაცდენსო!

დასკვნა: „ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი სჯობიაო“.

სკვითი



ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფაელ

მადონა ტემპი, —რაფაელის ნახატი.

რაფაელ სანციო ერთი უდიდებულესი და უწარჩინებულესი მხატვარია მსოფლიო ხელოვნებაში. იგი დაიბადა აღმოსავლეთ იტალიის მთიან და კლდოვან ურბინოში 1483 წელს 28 მარტს. მამა მისიც ცნობილი მხატვარი იყო. რაფაელი და მიქელ ანჯელო სწორედ ის ორთავა ღმერთია, რომელსაც ძველ დროში იანუსს უწოდებდნენ. თუ მიქელ ანჯელო სრული ხატება იყო ნებისა და პროტესტისა, რაფაელ სანციო სრული სახიერება იყო ღვთაებრივის ნიჭისა და სათნოებისა. ამ ორ გენიოსის შორის რაოდენი მსგავსება იყო ღვთაებრივ ნიჭში ეგოდენ განსხვავება იყო ხასიათშიც. თუ მიქელ ანჯელოს უწოდებენ მექანდაკეთა მეფეს. სამაგიეროდ რაფაელი ცნობილია მხატვრობაში როგორც მხატვართა ხელმწიფე. რაოდენად მიქელ ანჯელოს სიმწარე და სულის ობლობა ხვდა ცხოვრებაში, იმდენად სიამოვნება და ტკბილი ფუფუნება თავს ევლებოდა რაფაელს. რაფაელი ხატავდა განსაკუთრებით ღვთის მშობლებს და ქრისტეს, შესანიშნავია მისი სურათი „ფერის ცვალობა“, „ბჭობა სამარსება ღმერთზე“ „ათინას სკოლა“, „პარნასი“, „სიკსტინის ღვთის მშობელი“ „მადონა ტემპი“ და სხვანი. რაფაელი გარდაიცვალა სრულებით ახალგაზდა და ჯანსაღი. 1520 წ. 28 მარტს, სწორედ თავის დაბადების დღეს 37 წლისა. რაფაელ დამარხულია რომში დელა როტონდას ეკლესიაში. 1883 წ. მთელმა ევროპამ დიდის ამბით იდღესასწაულა რაფაელის დაბადების 400 წ. იუბილე.



დუტუ მეგრელს უძღვნი

ვიყავ ობოლი, უმწეო,
სიცოცხლე გამწარებული,
სასოწარკვეთილ, ბედისგან
სრულიად დავიწყებული...

ბევრი ვებრძოლე ცხოვრებას,
ვეომე წუთის სოფელსა,
ვერ გავიმარჯვე, დამჩაგრა,
ჩამაგდო საგოხებელსა...

ჩემს სანუგეშოდ იმ ჟამად
შენ მომეგლინე მხსნელადა,
ზედ ამაყენე ობოლი,
ტანჯვა მიქციე ლხენადა.

გმადლობ ამისთვის უზომოდ,
სალამს მოგიძღვნი გულითა!
ვაჰ, რა კარგია სიკეთე,
შობილი წრფელის სულითა!

კ. მარტვილელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია,—ვუნშას ნახატი.



ამ დროინდელი ქალის გასართობი (ტიკინი).

სიკსტინის მადონა,—რაფაელის ნახატი.

ამ დროული იგავ-არაკი

ვირი და ბულბული

ფილოსოფოსნი შემოკრბნენ... უკაცრაოდ, ფილოსოფოსნი კი არა ქართველი მწერლები... და იმაზედ ჰქონდათ ცილობა—ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა, მკვდრისა ცუდათა ხსენებას კაცს აიძულებს გველობა...

ჭოდა ბჭობდნენ და ლაპარაკობდნენ ცოცხლებზე და მკვდრებზე, ზოგს აქებდნენ, ზოგს ლანძღავდნენ, ზოგს ადიდებდნენ, ზოგს ამცირებდნენ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით იმათ, რომელნიც შორს იყვნენ ან კიდევ მკვდრები იყვნენ...

ერთი მწყვართაგანი წამოდგა და გულის წყრომით მიმართა იქ მყოფთ—რა უბედურებაა, ბატონებო, სულ სხვების ძაგებასა და თქვენი თავის ქებაში ხართ იმავე დროს-კი არც ერთი თქვენთაგანი სრული არ არის. . აბა ვინ არის ისეთი გულადი როგორც ლომი, ისეთი გამრჯე და მუყაითი, როგორც ფუტკარი; ისეთი ერთგული ქვეყნისა, როგორც დედა შვილისა; ისეთი ბრძენი და სათნო, როგორც ღმერთი; ისეთი შეუპოვარი და მრისხანე როგორც მეხი...

— მერე ვინ იყო ასეთი? შეეკითხა ერთი ვირეშმაკი.

— ვინა და ახლად მოკლული „არწივი“.

— რა სისულელეა! დაცინვით მიუგო ვირეშმაკმა! თავის ქებით არ ვიტყვი, მაგრამ ჩემისთანა გულწრფელი, გულადი, პურადი. ბრძენი და მეტყველი, სათნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სინიდისიერი, მოდგაწე და მოამაგე, ჭეშმარიტი და მიუდგომელი არცა „არწივი“ ეოფილა და არცა სხვა ვინმე. . მაგას ნათლად მოწმობს ჩემი დიდებული ნაწერები, ჩემი გენიოსური აზრები, რომელნიც ხალხს მოეფინა და მსოფლიომ იწამა... თქვენ რა იცით, ჯერ ბავშვები ხართ!.. რაც კი რამ არის ჩვენში საკეთილო, სასარგებლო და საშვილისშვილო სულ ჩემის უნარით, მადლიანის მარჯვენით არის დაარსებული და აღორძინებული...

— ამაზე რადა მეოქმის იმის მეტი, გესლიანად მიუგო მწეკარმა, რომ დიახაც ძნელია და შეუძლებელიც სხვის დიარსება-თვისებით აღტაცებული იყოს ის, ვისაც არა თუ დაფასება გაგებაც კი არ ძალუძს სხვის დიადობისაო.

დასკვნა „უმსგავსო საქმე ეოველი მოკლეა, მით ოხერია“

სკვითი.

რა დავაშავე

რა დავაშავე? რა ჩავიდინე,
რომ ვიგზავნები მე უცხო მხარეს?
რა დავაშავე? რა ცოდვისათვის
მე მაშორებენ სამშობლო არეს?!

ნუ თუ იმისთვის განრისხული ვარ,
რომ ვიღაღადე ძმობა-ერთობა—
და ღარვყავი ჩემს სამშობლოში
ჩაგვრა ხალხისა, უსამართლობა?!

ალ. ჩახუნაშვილი

მოლოდინში

მიყვარს ჭექა-ქუხილი, როცა არ იცი რას მიეკედლო, როცა დიდი ხე საშიშარია—მეხი არ დაეცეს; მინდორ-ველში-კი მარტოობით სული გეხუთება; გრიგალი ქარი მოტაცებას გიპირებს და თვალში გაყრის, რაც მიწას ვერ შესისხლხორცებია; ზევიდან ბნელად დაგყურებს შავი ღრუბელი, ქვევით კოჭებამდის გირტყამს ნიაღვარი.

ბრძოლაა სიცოცხლისთვის, ჩქეფს სისხლი, გავიწყებს წვრილმან უსიამოვნებას, ცდილობ როგორმე სიკვდილს გადარჩე!

მიყვარს მოწმენდილი ცა; ნიავი ოდნავ ეკარება შუბლს; ზურმუხტ ცას მზის შუქი აღიმებს; მწვანე ბიბინებს დამატკბობელად; ხეები ნაზათ იხრებიან, ვით „ჩამოვლის“ დროს მოლეკურე მეგრელის ქალი. ჩიტები სხვა და სხვა ჰანგზე უმღერიან თავიანთ სატრფოთ; წყნარათ მიდუდუნებს აცისკროვნებული მდინარე.

გიტაცებს სიამე ქვეყნისა, შენს გულს იმედს ჰგვრის ბუნების მეჯლისი; ასწილ ნეტარებით გადახდილი მწუხარება ითრგუნება ქრება!

ოხ, ბედო, რათ მაგდებ მუდამ უღიმღამო ბუნებაში! მოღრუბლულა, მხოლოდ აქა-იქ დარჩენილა მოწმენდილი ცის ნაჭერი; მიზოზინებს ღრუბელი და ოდნავ მანათობელ მთვარეს ისევ ყლაპავს თავის წყვდიადში. ვარსკვლავთ გუნდს ვერ მოსძებნი; ძირს მიწაც მიჩუმებულა, თითქოს უცდის მოწყენილი, როდის მოვა განკითხვის დღე და ფიქრობს, როგორ მოვიქცეო; ამღვრეული მდინარეც ვერ ბედავს ნაპირს დაეჯახოს, გვერდს უვლის ბუტ-ბუტით სალს კლდეებს; იგი დროს ელის, ელის ჭექასა და გრიგალს, კოკისპირულს წვიმას, რომ ცით დაიმედებულმა სალი კლდე ქვეშ გათელოს, გზა გაიხსნას.

კრულ იყოს ასეთი დრო მოლოდინისა, დრო ფერმკრთალი სიცოცხლისა!..

ნ. ლორთქიფანიძე

შავი ქვა და შავი საქმე

—

ერთობა ჯერ კიდევ გამქრალი არ იყო, ოტია ბატონიშვილმა შემომითვალა, ჩემო ბასილა, ადუღდა ჭიათურა, სულ ბრიგინ-დრიგინით გადადის შავი ქვა და ფულები პანტასავით სახვეტიაო, თუ ავშენდით და დევიხსენით ბანკის ვალიდგან ჩვენი მამული ახლა, თვარა, შენი მტერია, გაგვისხლტდება ხელიდგანაო...

მოგეცა ღვთის და ბატონიშვილის წყალობა, ვიკადრე ამ პატიოსანმა აზნაურიშვილმა და დავტრიალდი ბლაღოჩინის ჯორივით, შეუთვალე სილიბისტროს, უფრინე კაცი ჩემს ნათლიას, იაკინთას, გამოვაყვანიე ეწრიდგან ვალამაი... ზოგი ცხენით, ზოგი—ხარებით გევემზადეთ გვაჭამა ტერეზიამ ვახშამი, დამატრიალა წალმა, დამილოცა გზა, ხელი და ჯიშკილოვანში ბრეგა მოვადინეთ. შევრეკეთ ცხენი და ხარები „ტრიციტშესტ ნიჟნი ჩინის ვაგონში“ და სულ კრიმანჭულით მივედით შორაპანს, იქინე—გვიკრეს თავი პატარა ვაგონებში, ასე გეგონება საპყრობილეს ოთახებიაო. ვერც დაჯდები, ვერც—დაწვები სწორედ გამწარებული კაციზაა მოგონებული. ნახევარი დღის ქანქალაის და დანჯღრევის შემდეგ გიახელით ადგილსა მიწვევისასა —ჭიათურას.

დედა-დედა, წავხდი კაკალი კაცი და აგია, რა ნახა აგი ჩემმა თვალებმა... კაცო, ამ ხრამში გოუშენებიათ სახლები, პოლიცია და ბალნიცა, დოუყრიათ ზვინივით რაცხა შავი ქვაია—ჩვენში „შა-

ვი ქვაი“, წყევლა და კრულვაა, აქანაი ფულად სალდება, არა თაყაიშვილი რომ არის, წინასწარმეტყველი, იმან ქე სთქვა: მეორედ მოსვლისას ტყემალს დიდი ფასი ექნებაო, მარა...

დაგხვდა ბატონიშვილი. ვეცი სალამი, მოუყევი რაც იყო, ჩვენში გურიაში ახალი, იგი მოკლეს, იმას პრაპორჩიკობა უბოძეს დაკოდვის შემდეგ—მიქიაშვილმა ალმატება მიიღო, ზოგმა დეკანოზობა, ზოგმაც ფული და წარჩინება... ყურისა; მეზობელს ერთმა აფიცერმა—წესიერების ამღდგენელად რომ იყო გამოგზავნილი—მასიკოს ცოლი წაართვა... გადავეცი კნ. ვარდოფინეს მოკითხვა და ნატვრის თვალი... უდიდესი მადლობა მითხრა ბატონიშვილმა...

მიგვიყვანეს კონახში, მისვლამდის შევილესე პირის სახე შავი მტვერით... დღეში ხუთი პირის დაბანა არ ყოფნიდა კაცს... ჩევებით საქმეში. რა რჯულის ხალხი გინდა, რომ აქანე არ ტრიალებდეს, ეს ფრანცუზიო, ეს ანგლიჩანიო, ეს ბერძენიო, ეს ლემენციო... მერე ჩოუგდიათ, ბოშო, მთელი ვაჭრობა ხელში—ფულიც აქვენ და ქე არიან თავისთვის კარგათ...

შეიქნა ზიდვა. ვწიკავდი ქვას, ხან ვისან და ხან ვისან!.. მოვიდა ფულები!.. დევიწყეთ ქეიფი, დავატრიალეთ ყანწები. ქე ვიყავით ასე ბედნიერი ერხანს... მერე დაგვიკლეს ფასი—მივარტყით ზაბასტოვკა! . ამან სულ მოსპო მუშაობა, სულ დაუკლეს ფასები!.. ღაბავს სულს საქმე—არავინაა მყიდველი, შეჩერდა მუშაობაი. ცოტა კიდე და სულ ჩაქრა წუხანდელი სანთელივით. დადგა შიმშილი. გეიპარა პატონიშვილი...

გავყიდე ცხენი—თიკნის ფასათ, ვარჩინე ხარები და ორი კაცი—ერთი კვირა და გავყიდე ბაბაიას ნაყიდი ხარები, მაინც გვეყო ცოტა ხანს... გაქრა ყველაფერი. დავრჩით ხახა მშრალი. როცა აღარ იყო საშველი, შევავედრე წმ. ბასილას, შენ იყავი ჩვენი მფარველი და ნუ მოგვკლავ შიმშილით მეთქი. მომაყარა და მომაყარა წერილი-წერილზე ტერეზიამ, ბალანაი მოვიგე—ჩამოდიო!..—წევიკითხე თვარა გულ მოსულმა ერთი ძალიან დავთვერი ნისიათ თხელაძის ტრახტირში...

ჩემს აფხანიკს სილიბისტროს ჩამოუვიდა სალდათობიდგან გამოპარული ძმაი; ვერ გოუძლო თურმე სამსახურს. ახლა შევიყარეთ, ოთხი კაი ბიჭი გურული... აქეთ ვეცით, იქით ვეცით, ვიშოვეთ იარაღი, და ერთს მშვენიერ საღამოს, როცა მთვარე ზევიდგან გვიყურებდა, თავს დავეცით მარგანეცისგან გასუქებულ ბურჯუას... ბევრი ურტყით და ვუბრაგუნეთ, და ათას ორასი ფეშ[illegible] ხელში და პოვეზდით ამოვყავით თავი [illegible]. ავკაცობა არავის შერჩებაო, ნათქვამია ჩვენში; არ გასულა ათი დღე,რომ სუყველაი შეკოჭვილი ოზურგეთის ციხეში ჩაგვყარეს.

ასე გაგვწირა ქიათურის შავმა ქვამ!.. ანასუნი იქ წამსვლელს...

ვასო ურუშაძე

ხვანთქრის და ყეენის მიწერ-მოწერა.

I

ხვანთქრის წერილი ყეენისადმი.

სალამს გიძღვნი გულითადათ ძმავ-ბატონო მეჰმედ-ალი,
ჩემს ამბავსა თუ იკითხავ—არც მკვდარი ვარ, არც ცოცხალი!
დრო დამიდგა გასაჭირის, ძლიერ ავი, ერთობ მყრალი,
ბედმა ხელი ამალო და ალლაჰიც მყავს დია მწყრალი!

ფრანგის ტანში გაზრდილ ბიჭებს აჰყვა ჩემი მთლათ ასკერი,[1])
ვეზირებმაც მათ მიკერძეს, ყველა გახდა ჩემი მტერი,
„კონსტიტუცია მოგვეცი“,—იძახოდა ყრმა და ბერი—
„არ მოგვცემ და გნახავთ—ზღვაში ცურავდე თავ-მონაჭერი!“

ასეთი დღე რომ დამადგა, ვისე შეიხ-ულ-ისლამი... [2])
იმან სულ მთლათ დამდაგა და მომაყარა თვალებს შლამი.
ასე მითხრა: „თუ ფადი-შაჰ[3]) კურანი გწამს და რჯულს ლამი,
„სწრაფათ დასტური დაწერე, ა ქაღალდი და კალამი“!

„ნებით მიეც რასაც გთხოვენ, თვარა ძალით წაიღებენ,
„ტახტსა თავზე დაგამსხვრევენ, შენს სასახლეს აიღებენ,
„ცოლებს ისე დაგტაცებენ—ყალიმსაც[4]) არ გაიღებენ,
„შენ პანღურს გკრენ, შენი პირმშოს სისხლით წვერებს შეიღებენ!“—

მაჰმადს უთქვამს: „თუ მთა შენთან არ მოვიდეს, მიდი მთასთან!“
მეც დავყევი ხალხსა ნებას, ძე ვაფრინე საიდასთან[5])
დროის ქუდი დავიხურე თუმც გამოვტყდე, რომე მასთან
გულში საკიოე მინთია, ღმერთს ვახსენებ—ვარ ეშმასთან!

მოვიდა ჩემი საიდა, გავეცი კონსტიტუცია...
ვაიმე ტახტო ოსმანთ!.. რა დროა, რა ტუტუცია...
. . . .
ჰეი გიდი, აბდულ მეჯიდო, შენ რა დრო გქონდა და მე რა!
წამწარდა შენი სამკვიდრო და ჩემი ტკბილი სიმღერა...

ასეა ჩემი ამბავი ტახტ-სვიანო მეჰმედ-ალი..
მახარე შენი ამბავი, თუ არ ხარ ბეჯზე გამწყრალი...
შენ რუსი უფრო ახლოს გყავს ჭკუითა და ბედით მთვრალი,
ყური მოვკარი—ხელს გიწყობს, ჭორებია, თუ მართალი?!

---

[1]) ასკერი=ჯარი.

[2]) შეიხ-ულ-ისლამი=თურქების პატრიარქი.

[3]) ფადი-შაჰ=ოსმალეთის ხონთქარი.

[4]) ყალიმი=საცოლოს ნივთიერ. უზრუნველსაყოფელათ მაჰმადიანთა ქვეყნებში საქმროსაგან მიტანილი ფული და სხვა რამ საქონელი.

[5]) ქუჩუქ-საიდ-ფაშა, პირველი მინისტრი კონსტიტუციის აღდგენის პირველ დღეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

უქენის პასუხი.

სალამზე სალამს გიბედავ, ხელი გკოცნი სტამბოლის მფლობელს,
ააზრალო შენი მეჭმედი ბედს და ღმერთს წყევლის ცათ მპყრობელს...
საარაკოა მე რაც მჭირს, ჭირს შევადარო თუ რომელს?
დღეს ყველა გასაჭირში ვართ, ვილას მივმართო მეზობელს?!

შენ რომ ბრძანე, იმან მართლა შემომპირდა შემწეობა,
პირველ ერთობ გამახარა, გამითენა მან დღეობა.
მეჯლის ვკარი ზარბაზანი, მოვსპე იმათი ღრეობა —
ბევრი დავხვრიტე, დავადრჩე, ვალირსე მოწამეობა!

ვინც ხელთ ჩავიგდე, მოვაშთვე მეტადრე ხალხი კალმისა,
კონსტიტუცია რომე წამთ, არ სჯერათ ჩემი ალმისა.
ავკრძალე სულ ყველაფერი გარდა სპარსთ კაბის, ჩალმისა:
არეზის[1]) იქით მესმოდა შრიალი რუსთა ალმისა!...

მალე ფული შემომაკლდა, დამიფშუტდა ხაზინაო,
სესხი ვისაც ვთხოვე, მითხრა — „ეს საქმე საწინაო.
„ჯერ ადრეა, მოისვენე' შენ სიფიცხემ გაწყინაო...
„თუ მეჯლისი დასტურს მოგცემს, ჩვენ ვიფიქრებთ მაშინაო!"

...ჯერ ერთმანეთს გადაგვკიდეს — მეჯლისი მე, მე მეჯლისსა,
მერმე ყბასაც კი მიქცევენ, დასტურს მთხოვენ მეჯლისისა..
ასე მახსრჯათ დღეს ამიგდეს რიდიც არ აქვთ ვით მეფისა —
„მეჯლისს დაჰკა" რომ მითვლიდა, ნეტავ მაჩვენა დღეს ისა!.

ასეა ჩემი ამბავი, მეფევ-ძმავ აბდულ-ჰამიდო.
დროებამ ასე მიმუხთლა, ეშმაკმა მხარზე გამიდო,
ორ-წყალს შუა ვარ, არ ვიცი დღეს ბინა თუ სად დავიდო...
ვაი თუ ტახტი დამენგრეს, თუ ხალხმა ფეხ-ქვეშ გამიდო?!

შენ რა გიჭირს — ზღვა ახლოს გაქვს, გაიქცევი როცა გინდა,
მე გეტყვი და — ოქრო-ვერცხლი არ გაქვს რამდენიცა გინდა,
სადაც წახვალ, იქ იმეფებ როგორც გსურს და როგორც გინდა,
მე კი მარჯვე გასაქცევი გზაიც არ მაქვს თუ მომინდა!...

თ. მაგმაძე.

ამ დროული გამოცანები

I

ესდეკების ლიდერია,
მტყვანს ამართლებს მართალს ღუპავს.
ვექილია — რას დაეძებს, —
სხვის ნაოფლარს ერთობ სწრუტავს.
დეპუტატათ ნამყოფია,
მოუსვენრად აქნევს ენას.
სრა — სასახლე გამოსჭიმა,
მისცემია შვება-ლხენას.
სხვისთვის ნატრობს სიღარიბეს,
რომ ბოგანოთ სჭვრეტდეს ყველას,
ქონსა იძენს სხვისი ოფლით,
სახლებს იდგამს მთების ტოლას.
სხვებს გონია მისი ღმერთი,
მარქსი იყოს და მის მცნება,
მაგრამ გულით მაზაკალი,
საქმითაც ხომ ცრუ იქნება!

II

აფხან`კა გამარჯვება".—
მეძახოდა შარშან წინა.
მეგობრულად მეპყრობოდა,
ხშირად მპატიჟობდა შინა.
„ერთობაში" მუშაობდა,
„კომიტეტთან" ჰქონდა ბინა.
„სოციალიზმსა" ქადაგებდა
ხალხს უძღოდა თოფით წინა.

III

ერთხელ უცაბედად სხვისი
ოქრო ხელში ჩაუვარდა.
დააშტერდა გამოერკვა —
მითვისება გაუხარდა...
სთქვა განგებამ მითავაზა,
ეს ყოფილა ჩემი ბედი.
დროა ჩვენთვის მოვიხმარო,
თუმცა არის სხვის ხვედრი;
რას დავეძებ სხვის ტკივილებს,
რად მიჩნს სხვისი მასაჭირი.
ოქრო ყველას შეერგება
ვის აქვს მადა, ვისა აქვს პირი.
შემწეობა „ჩვენებს" უნდა
„რას დავეძებ სხვების" ნებას,
რასაც გვინდა იმას ვიზამთ,
ვინ გაბედავს ხელის ხლებას!.
სთქვა ესა და ზედ წამოხტა,
ხელთ აიღო ჯოხი-ქუდი.
სხვისის ავად შემნახავსა
ძველთქმულებით ჰქვიან ქურდი...

ბრმას თვალს უხელს, საპყარს ჰკურნავს,
მუნჯს აუბამს სწრაფად ენას.
პლექისგანაც ჰკურნავს სნეულს,
სცდილობს თავის გამოჩენას.
„ტვინისა და სულს" ასამართლებს,
ჩემულობს მისს გამოკვლევას.
ყველაფერს ეპოტინება
თვალში ეჩხირება ყველას.

№ 13



[1]) არეზი=მდინარე არაქსი.

პროვინცია

ენატანიევის ამბები. ა—ის გუბერნიაში რომ კვლავ გაჩნდა ხოლერა ეს ფაქტია და არა რეკლამა. ჯერ-ჯერობით იგი ა—ის სცენაზედ მოღვაწეობს, მაგრამ დღეს-ხვალ რომ ჩვენც გვეწვევა საგასტროლოდ, ეს ცხადია. ნიადაგი უკვე მზად არის და კარგ შემოსავალსაც ელოდებიან. უზომო სიცხეები, ნაყარ-ნუყარა ხილი, გაბრიოკებული კიტრ-საზამთრო და სხვა ამგვარი ხოლერის მოციქულები უხვად მოიპოვება ამ ბედნიერ მხარეში და ხალხიც ბუზივით ეტანება მათ. რა უნდა გააწყოთ ამგვარ ადამიანებთან, რომელთაც ვერავითარი რჩევა-დარიგებით ჭკვას ვერ ასწავლი, ამათ მხოლოდ ნიშადურის სუსხი თუ უშველის რასმეს, თორემ ძლიერ „ნეპრიატნათაა საქმე. იმედია კეთილი საქმისითვის სიკეთეს არ დაიშურებთ.

ამ ხოლერის საქმის გარედა სხვა პირებიცა მყავს დასანიშადურებელი. მათ რიცხვში პირველობა ეკუთვნის: ილია აბრამიშვილს და სერგეი დევიძეს. ამ ვაუბატონებს, ქალაქ ას—ში, სამოლიოტის ნავთსადგურის ახლოს გაუღიათ დუქანი და ვაჭრობასთან ერთად ჯაშუშობა—პრავაკატორობასაც ეწევიან. ვსთქვათ თქვენის ნებით ან სხვისის ძალდატანებით მოგიხდათ ამ უცხო ქალაქის უცხო ქუჩებზედ გავლა-გამოვლა, და უცბად შენიშნეთ „ვივესკა“: „კავკაზსკი ტრაქტირ შედიხართ დუქანში. ჰხედავთ ჩვენებურ ძმა-ბიჭებს, მაგრამ ისეთი „ძმა-ბიჭები“ თქვენს მტერს!.. საკმარისია გაიგონ „ხაზეინებმა“ თქვენი ვინაობა და რწმენისა მიმდევრობა—თქვენი ბედი უკვე გადაწყვეტილია „დანოსი“ სადაც ჯერარს, მოხსენებულია და მოულოდნელად რუსეთის უნივერსიტეტში—ციხეში ამოჰყოფთ თავს... იქნებ „ნიშადურმა“ ჩააგდოს ეს იუდები ადამიანურ კალაპოტში!..

არ შეიძლება უნიშადუროდ დაიტოვნენ ზოგიერთნი ახალმოდნის გასტროლიორები, რომელნიც ამ დღეებში გვეწვივნენ აქა, და თბილისის სახაზინო თეატრის დრამატიული დასის სახელით წაროდ გენა გაგვიმართეს. თუმცა ამ სახელწოდებასთან მათს თამამს არავითარი ნათესაური კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ ეს გვიინ გაიეს. ნათქვამია: „გზა რომ გადაბრუნდება, ურემი მაშინ გამოჩნდებაო!.....“

არა ნაკლებ საჭიროა ნიშადური „კავკაზი და მერკურის“ აგენტ, ანატოლი გრინფელდისათვის, მ.თი აგ.ენტობითი ბრწყინვალება ისე გაავზნევდა ამ ბოლო დროს, რომ ყოველგვარი ზრდილობის სარჩულიც-კი დაჰკარგა. ფიქრობენ, რომ მისი ესეთი ყოფა უზომო სიცხის ბრალია, მაგრამ რა მიზეზიც უნდა იყოს, იმედია „ნიშადური“ მოაარჩენს.

ადგილობრივი ცეცხლის მქრობელი რაზმი ხ-მ სულ დ.საშუშხავია. ნიშადური, ადამიანების გარდა ცხენებსაც არ აწყენთ. ისე არიან უმუშევრობისა და უჭმელობისაგან წელმოწყვეტილნი, რომ თითო ბოჩკა წყლის მოტანის დროს ხელის გულისოდენა აღმართზედ ნახევარ დუჟინ ცხენს უბამენ და თორმეტი სული ადამიანი თავს დასჭყავიან...

დანარჩენი ნაწილი ნიშადურისა, თქვენის ნებართვით ერთ ჩვენს ყოფილ „აფხანიკს“ უნდა დავუთმო.

„აფხანიკი“ ეს ვინმე ტერ-მ.რტიროსიანცი, შეცდომითა ეხლანდელისა წეს-წყობილებისათა, თბილისდამ გადმოსახლებულ იქმნა ამ კურთხეულ მხარეს და ამ ჟამად იმყოფება ადგილობრივსა ციხეში ერთის წლის ვადით.

მიზეზი ამისა ფრიად საგულისხმიერო არს. მას ყამსაშინა, ოდეს იყო ჯერედ კიდევ მარტისა დამდეგი, მან ერევანს, დროა იგი მოხერხებული და მძინარესა გლეხსა ამოაცალა ჯიბესა შინა მდებარე 136 მანეთი და მყისვე მიფრენილ-ა. ესე ახლავე მალე გამოძიებულ იქმნა და ჯიბგირსა თვისი ადგილი მიეჩინა. ხოლო საბრალო გლეხმა, ვერ აიტანა დარდვარამი იგი, და ამ ამბის მეორესა დღესა თოკსა ზედა ჩამოიხრჩო თავი თვისი!..

ღმერთო გვაშორე ასეთსა „აფხანიკებსა“ მოსაჭრელად თავისა ერისა თვისისა და შემარცხვენელად ჩვენისა სახელისა.

ასეა საქმე, და აწ თქვენ იცით, ნუ დაიშურებთ ზემოაღნიშნულ ხილულ და უხილავ „ბაცილების“ გასამუსრავად ნიშადური გამომიგზანოთ...

ჯაფარა

ქუთაისი. ტელეფონით საუბარი თეატრზე.

— ტრ! ტრ! ტრ! ტრ!

— ტრ! ტრ! ტრ! ვინ ეშმაკი ხარ ამ გაგანია სიცხეში... უჰ, უკაცრავად... თქვენ ბრძანდებით ა! კი ბატონო, ორი ბოჭკა მელი მოიტანეს და შიგნით და გარეჯ ათეთრებენ... ბატონო? არა ბატონო, ლოყების პოლები სულ დამპალი გამოდგა... ა! რა ბძანეთ? ჰო! ქე აკეთებენ მარა ვაი იმისთანა გაკეთებას... ა? ჰო! იმე, კამისიამ რა ქნას, „უპრავა“ არ აძლევს ფულს და ისე რა ქნან... კი ბატონო. . რას ბძანებ, ბატონო, გამაგზავნეს და მეტი არა?.. იმე, რავა გეკ დრება... რა ბძანეთ... ჰო! კი, რავა არა, ახალი „ჩლენი“ რომ არის... აი ის... სულ ფხაკურ-ბს, ვითამ უნდა რაცხა გააკეთოს და მეორე, ბატონო, უფრო ძილისკენაა... ა? რავა, ბატონო, და რომ მივედი ახალი ჩათვლემილი იყო სტოლზე... უცბად გამეიღვიძა და დამიძახა: ფულები მეიტანეო... იმე, მე კი არ ვჭედავ ფულებს თქვა!... რა ბრძანეთ? ჰო! კარგია, რომ კამისია თეატრის შემოსავალს „უპრავაში“ არ გზავნიდეს, მარა... თქვენ ნუ მომიკვდებით რავარაც წარმოდგენა იქნება მეორე დღესვე მეითხოვენ „უპრავაში“, იმას კი არ დაეძებენ თეატრს რომ ათასი რაცხა უნდა... უკაცრავად, ბატონო, რა ვქნათ, უნდა მევითმინოთ... ა?... კი ბატონო, პალატაშია მოვახსენებ... მადლობას მოგახსენებთ..,

— ტრ--ტრ--ტრ.

— ტრ--ტრ--ტრ.

ვახახაია.

ქუთაისი. მეგობრული მასხრობა ქუთათურ არტისტებზე „ნიშადურში“ მოთავსებულმა სხვა და სხვა ავტორის წერილებმა ქართ. თეატრის შესახებ ქუთაისის საზოგადოებაზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქუთაისის საზოგადოება ძლიერ დიდ საგონებელში ჩაგდო: რა მოელის მას, თუ მართლა ქუთაისის დრამატიული საზოგადოების მეოხებით ქუთაისში ქართული წარმოდგენები აღარ იქნებაო. ქუთათურები გრძნობენ, რომ მათი ცხოვრება შესამჩნევად გაუფერულდება, თუ მათ მოაკლდათ შეძლება დასტკბენ ნაზისა და მოხიბლავის თამაშ თ ქ-ნი ზ.რდალიშვილისა და ჯავახიშვილისა, მტირალა ტრაგიზმით დ. მასხრული კომიზმით ბ-ნი ბალანჩივაძ ა, ფილოსოფიურ-შეურყეველი სახით დადიანისა და დეკადენტურ სიმბოლიზმით ვ შალიკაშვილისა და ლაქიანი ჩექმებით ბ-ნი ზარდალიშვილისა. გულდათუთქული საზოგადოება უხვად ღვრიდა ცრემლებს ქალაქის დამ-

ტვერიანებულ ქუჩებში და უქადოდა დრამატიულ საზოგადოებას ცრემლის მორევში ჩახრჩობას. იმდენად გულ აჩვილებული იყო საზოგადოება, რომ ვეღარ ახერხებდა თავის საყვარელ არტისტების ცქერას. ამიტომ მესხიშვილის გამოსათხოვარი „სპექტაკლები“ ვეღარ შესდგა ხალხის დაუსწრებლობისა გამო თუმცა არც ბოიკოტი არც ლოკაუტი არავის არ გამოუცხადებია... ასე გვარწმუნებდნენ ქუთაისში ტფილისიდან საგასტროლოდ დაბრუნებული არტისტები, ვითომც ტფილისში, გვიინტრიგესო და გვიბოიკოტესო ჩვენ-კი ასე გვგონია, რომ ჩვენმა არტისტებმა თავდაპირველად და უწინარესს ყოვლისა თვითონ მოიმზადეს ნიადაგი, რომ მ თს გასტროლებს ტფილისში ხალხი არ ესწრობოდა. ტყუილად კი არ უთქვამთ რუსებს нечего на зеркало пенять коли рожа крива-ო. ასეა თუ ისე. ეხლა ყოველივე შეიცვალა. დრამატიული საზოგადოების წევრებიდან გავიგე, რომ ქუთაისის თეატრს ხსნა მოვლინებია. ორ ნიჭოსან და პატიოსან მსახიობთ გამოუცხადებია სურვილი ანტრეპრიზის თავის თავზედ აღებისა და თანაც ვრცელი მოხსენება წარუდგენია გამგეობისათვის: „მივიღეთ რა მხედველობაში დიადი გაჭივრება ქუთაისის საზოგადოებისა, ჩვენ კეთილ ვინებეთ ხელი ავიღოთ ყოველივე პირადსა და კერძო დღეგრძელობაზე და შეუდგეთ თეატრსა. ჩვენ ხელთ არის დასი სიმშვენიერით სწორი ანგელოზთა გუნდისა და უმჯობესი განთქმულ მოსკოვის მხატვრულ ხელოვნების თეატრისა:

1) ქ. ნ. დავითაშვილი—პრიმა-დონა;

2) ქ. მ. მდივანი—ვიცე-პრიმა-დონა.

3) ქ. ნ. ჯავახიშვილისა—თამაშობს განსაკუთრებით „გრანდ-კოკეტებს“ და „პრაჩკებს“.

4) ქ-ნ ზარდალიშვილისა—„ინჟენიუებს“ და „სუბრეტებს“.

5) ქ-ნ ქილარჯევისა—სიცოცხლით უკმაყოფილებს.

6) ბ-ნი ზარდალიშვილი—(პრემიერი)—თამაშობს პირველი მოარშიყეთ და აშოლლანებს (სუტინერებს).

7) ვ. ბალანჩივაძე—ტრაღიკულ მოხუცებულებს და კომიკურ ჯეელებს.

8) შ დადიანი—ყველა ხარისხის და ხასიათის როლებ ერთნაირის ფილოსოფიურ კილოზე.

9) ვ. შალიკაშვილი—ყველაფერს შეგნებულად და ბრძნულად, ნარდად და მარდათ.

10) გვარაძე—სცენაზედ შეუმჩნევლებს გმირებს.

11) მურუსიძე - როლებს სრულიად შეუფერებელს.

12) გრიგოლ ჩარკვიანი—უსიტყვო გმირებს.

ყოველი სათითაოდა და ყველანი საერთოდ შეუდარებელნი და ხელოვანნი ვართ მაშინ თუ „სველი ღ უკმა“ ვიგემეთ—წარმოდგენამდე.

ჩვენი რეპერტუარი შესდგება შემდეგი ავტორის პიესებიდან:

დანუნციო პშიბიშევსკი, მეტერლინკი, გამსუნი, დადიანი, გაუპტმანი, შალიკაშვილი, იბსენი და სხვა და სხვა. პიესების დადგმაში ჩვენ ვიხელმძღვანელებთ განუსაზღვრელ რეალიზმით (მაგალითად: ამერიკელ ლენერლებს—ქართულ წუღებში ვითამაშებთ, ხოლო გერმანელ ლაქიებს—იმერულ ახალოხებში).

ასე ამ ძალებით და რეპერტუარით ჩვენ ვიღებთ ანტრეპრიზას, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ უმზვითოთ ანტრეპრიზის აღება არ შეგვიძლია. რეჟისორებმა ყოველთვის თავი უნდა დაიფასონ. ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ: 800 მან. [illegible]ლად ფულს, ხუთასი მანეთის ბარგს, როგორც ანტრეპრიზას შეეფერება, ტანისამოსებს და წიგნებს, კოხტად მოწყობილ თეატრს, უეჭველად უფასოდ დათმობილს ქართულ წარმოდგენებისათვის. ამასთანავე ვთხოვთ გამგეობას გვიშუამდგომლოს მატასთან ღვინისა და შემწვარი სულუგუნების კრედიტი გაგვიხსნას. თუ ჩვენს ანტრეპრიზას რამე ხიფათი ეწვია, მაგალითად, ზარალი მოუვიდა, ეგ ზარალი დრამატიულმა საზოგადოებამ უნდა ზღოს. ზარალი, რასაკვირველია, მოსალოდნელია, რადგანაც საზოგადოება თავის სიყვარულს თეატრისადმი და ქართველ მსახიობებისადმი გულში იკლავს და მალავს. თუ მოგება დაგვრჩა, მაშინ, რასაკვირველია, დრამატიულ საზოგადოებას აღარ შევაწუხებთ და მოგებას ჩვენ მოუვლით. ჩვენის მხრით ყოველი ღონის ძიება იქნება ნახმარი პიესები კარგად დაიდგას. ჩვენ სახეში გვყავს ესტეტიურად განვითარებული წრე, რომელიც დიდ დახმარებას აღმოგვიჩენს ჩვენ ჩვენს საქმეში. ეს წრე შესდგება სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელებისაგან: კაზიონი პალატიდან, გუბერნატორის კანცელარიიდან, მიხაილოვსკი ბანკიდან, კრესტიანსკი პრისუსტვვიიდან, ეს წრე იკრიფება ყოველ დღე 2—6 საათამდინ მატას რესტორანში. თუ ამ პირობაზე გამგეობა თანახმა იქნება ხომ კარგი, თუ არა და თავში ქვა იცეს, თვითონ გაუძღვეს თეატრის საქმეს..

ზაბუსტა ქელბაქიანი

ხონი. ჩვენი ავ-კარგი. 27 ივლის ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ ნ. გვარამაძის და სვ. სვიმონიძის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს „ექიმი შტოკმანი“ ყველას როლების უცოდინარეობა ეტყობოდა საზოგადოება ბლომად დაესწრო.

ადგილობრივი ბოქაული სხვაგან გადაიყვანეს და მის ადგილზე დანიშნეს ლორთქიფანიძე. ახალი ბოქაული სასტიკ ზომებს იღებს ქურდ-ბაცაცების წინააღმდეგ და ხოლერის მოლოდინში აჯარიმებს იმ მედუქნეს რომელთაც დამპალი ხორაკი აღმოაჩნდება ესეთ საქციელი დიდათ მოსაწონია მაგრამ დასაგმობია ისა, რომ სამოცი წლის მოხუც ბულებს ამათრახებს..

3 აგვისტოს ადგილობრივ საზაფხულო თეატრში გაიმართა კონცერტი და წარმოდგენა. კონცერტში იმღერეს ვლ. ბახტაძის ხელმძღვანელობით სხვა და სხვა სიმღერები. ხალხი ბლომათ დაესწრო წარმოდგენა და კონცერტი საქველ-მოქმედო მიზნით იყო ადგილობრივ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ.

მაღალ-წვრილი

ფოთი. აქაური რამე-რუმე. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, თუ ვინიცობაა მესამე დუმა გარეკეს. ადგილობრივ ესდეკებს უკვე სახეში ყავთ მეოთხე დუმისთვის დეპუტატად „ბესა“, რომელიც დიდად ცნობილია მთელ ფოთში და აგრეთვე . მხოლოდ ფოთში. მართლაც ბესა შესამჩნევი დეპუტატი იქნება და სრული იმედია ასახელებს ჩვენს „აბაზ ქანქარისტებს“. აქაურ ესდეკებს კასაც უცარი ლიდერათ და „არმიაც“ შესამჩნევადა დნება და ქრება..

ეს არის ხმა გავრცელდა, რომ თუ შავი ქვის წარმოება დაიწყო რაც საზღვარ გარეთ გაპარული ბერძნებია, ყველანი დაბრუნდებიანო. ერთიც უკვე ჩამოვიდა—პატარა „გომერიკოს“. მუშები ხროვა-გროვით მეძებარსავით დასდევენ, ხოლო

ის, კურდღელ ვით გაურბის მუშებს... ამის გამო ერთს ნუ-
შას ლექსიც დაეწერა ნიშადურის მოსაშველებლად, რომელიც
ასე იწყება:

რედაქტორო, გევედრებით, მოგვაშველე ნიშადური.
იქნებ ფული გავვინაღდო, გაგვიჩინო სამსახური!...

ნიშადური ფოთელ ბერძნებზე-კი არა, ფოთელ ვაჭრე-
ბისათვისაც კია საჭირო. ამათ „რასპოდაჟებს“ დასასრული
აღარ აქვს; ვითომ იაფათაა და ნამდვილად-კი ყველფერი და
ყველაფერი მ-მა სისხლად იყიდება და ისიც „Безъ запроса“.

დაარსთა „კოოპერატიული საზოგადოება“ მხოლოდ
ვინ მოესწრობა, ღმერთმა უწყ ს .. მართალია ნათქვამი პეტ-
რეს მოსვლამდის პავლეს ტყავი გააძრესო,—სანამ კოოპერაცია
დაიწყებს მოქმედებას ჩვენ-კი ჩვენი დაგვემართება და! აქ
დაიწყეს სამკითხველოს შენობა, მაგრამ სიცხეების გამო,
რამოდენისამე თვით შესწყვიტეს მუშაობა... ალბად სამკით-
ხველოს გამგეს მუშები თუ ებრალება!...

ქ. ე—ი.

ქ. თელავი. ნახული და გაგონილი. ისევ ჩემი ნა-
ხულ და გაგონილი. ამის მეტს არაფერს ვამბობ თუმცა ამ
ნახულ-გაგონილითაც ბევრს ეწვის კუდის რიკი.

ეხლა-კი ჩემთვის ცხადია თუ რად სჯავრებიათ აქაურებს
კორესპონდენტები და განსაკუთრებით კი „ნიშადურისა“ რომ-
ლის აღმოსაჩენად უკვე მიღებულა „საჭირო ზომები“, არც
გაგვიჭირდებაო, გაიძახიან ხმა მაღლა, „დ—ოს“ და „პაიკს“
ხომ მალე ავაღებინეთ ხელი და ვიღაც „ერთი-კიდევ“ მოსუ-
ლა, ერთსაც დავავიწყებინებთ და მერჩესაცაო.

ამის შესამოწმებლად „ვიზიტი—უყაი“ ბ—ნ დ—ოს
ჯერ არ მიღებდა, პოლიცია ვიგონე. მაგრამ ნიშ დურის შუშა
რომ დავ.ნახვე, გაუხარდა და ხელი დამიქნია. მ.ინც ძლივს
მივაგენი, ცარიელ ბოჭკაში ჩამჯდარიყო, მუცელ ჩაჭვარდ-
ნოდა, საჩე დანაოჭებოდა, ბელატ თავზე თმა ასწეწოდა. გამიკ-
ვირ და ასე რომ ვნახე, მაგრამ მიპასუხა: ნუ გაგიკვირდება, რაც
წერა დავიწყ ყველამ ასე ამითვალწუნა, ლამის ცოლშვილს გა-
მომწი ონ და „პოდსუდშიაც“ მომცენო. ეგ არაფე იამეთქი
ვანუგეშე. ყველას ხოტბა შესხი - ვული მოიგე, ს. დემოკრა-
ტი გახდ და გეშველება-მეთქი.

„პაიკი“ შინ არ დამხვდა. ბულვარში ვიკითხე, მაგრამ
„ნადიკვარზე“ მიმითითეს. მართლაც ნადიკვარზე ერთ დაბ-
ლობში წამოწოლილიყო. შლაპა გვერდზე დაედო, ხელი
შუბლზე მიედო, თითქოს ეშინიან ტვინიდამ ჭკვა არსად გა-
მეფანტოსო, სასოწარკვეთილებისათვის მიეცა თავი. გამხდარ
პირისახეზე თვალები ჩასცვივნოდა. წვერი გაეშო და თმა
აბურძგნოდა. მისალმებისათანავე მინდოდა გამემხიარულებინა-
შენ ეხლა არციბაშევის „სანინ—ს“ უნდა ჰკითხულობდე მე-
თქი, მაგრამ უფრო დაღვრემილმა ხელი ჩამიქნია და მუ-
ცელზე მიმითითა. მართლაც აწოწილ ტანზე ფერდი ფერდს
მიჰკროდა. სანინ-კი არა, ლამის თავს დამავიწყდესო. ვითომ
მოღვაწეობა მინდოდა, წერა დავიწყე და ის—კი არა თუ სა-
ზოგადოება მოემადლიერე ეგ არაფერი-მეთქი გაუქარწყლე,
ტყუილი ბევრი ჩაურიე, ყველა შეაქე, მარქსი იწამე, ქალებს
გაურშიყდი და გეშველება მეთქი.

ბოდიშს ვიხდი მკითხველო, რომ აი ორი დონკიხოტის
ამბავს მოგიყევით და რაც ვნახე და გავიგონე იმას-კი თავი
დავანებე.

ამ ჟამად მთელი თელავი ლაპარაკობს ი.—ჯიხოშვილ-
ზე. კაცი დაბერდა, მუცელს ძლივს მიათრევს და არშიყობა
ეხლა დაუწყეს. რადგანაც ნებით არ მისთხოვებოდა, ქალი
მოიტაცეს, შემდეგ-კი ისეთი ხვპრე გამოდგა-ქალის მამა
მეფე, რომ ქრთამის თხოვნა დაიწყო და როგორც ამბობენ,
როცა ზეიმ-ზარით წყვილ წითელ ლენტ შემბულ მაქრის
თავებით ქრთამი წაუღეს და პატარძალი შინ დაბრუნდა და
ძალად მეფე-კი ჯიუტობდა ქრთამის ღებაში, კიდევ მერგებაო
ამ დროს მეფეს მთელი მაყრიანით ვირის აბანოში მოაყო-
ფინეს თავი. ამბობენ მზითვის ქაღალდიც უპოვნესო.

აქაური ქალები ძალიან „რევნოსტობას“ სჩადიან. ჩვენ
უფრო უპირატესობა ა უნდა გვქონდეს რომ ზედ არავინ
გვიყურებსო. ჩვენი შლაპები ორთაჭალის ბაღებს ჰგავს და
და კაბებ ს კუდებით-კიდევ მთელი დღეები ბულვარსა ვგვით,
რადგანაც თელავის ლორდმერი ყურადღებას არაფერს არ აქ-
ცევსო. ამის და მიუხედავად-კი ასეთი ცოტა „პოკლონიკები“
გვყავსო.

ამიტომ გადასწყვიტეს ბიბლიოთეკაში ხშირად სიარუ-
ლი, ჟურნალ-გაზეთების საკითხად-კი არა, არამედ „კავარ-
ლებთან“ სამასლაათოთ. აქვე ინიშნება „რანდევუ“ საქმე
ჯერ-ჯერობით კარგად მიდის, თუ მეფეს მოტაცება არ და-
უწყეს ხოლმე

სამწუხაროდ, როგორც ამბობენ ქალებს აქაც ცუდი
დღე დაადგებათ, რადგანაც ბიბლიოთეკას კუჭი მოშლია და
დიდი ხნის დასნეულებული სამუდამოდ დასვენებას აპირებსო...
ამიტომ ბიბლიოთეკის მმართველობას გადაუწყვეტია ბრწყინ-
ვალედ მოაწყოს ეს დღე, რისთვისაც მოიწვევენ მთელ თელა
ვის საზოგადოებას. წესებს ისიდორე შეასრულებს, მგალობ-
ლებად ვასო, იროდიონ და ონისიმე იქნებიან, მხოლოდ ამ
ორ უკანასკნელს გასამჯელად ხუთ-ხუთი მანეთი უთხოვნიათ.
ამიტომ ბიბლიოთეკას ჯერ რისტომაშვილის კასაში ჩასწე-
რავენ, რომ ივანემაც ირგოს რამე. ამ დღეს სხვათა შორის,
დაწერილ სიტყვას ზეპირად იტყვის იოანნე, რომელიც „პე-
რერიევებით“ სამ დღეს გაგრძელდება. მემატიანედ მოწვეულია
პაატიშვილი, ხოლო ფოტოგრაფად როინაშვილი.

იქნება ამის შემდეგ მაინც იყოს ღია აქაური ჟურნალ
გაზეთების კანტორა „განათლება“, თორემ იმდენ ხანს არ
არის ღია, რაც დაკეტილია. შეიძლება მიპასუხონ ეს მუშტა-
რის სიმრავლით ა ხსნებაო, მაგრამ მუშტარი საიდამ ეყოლე-
ბა, როცა დაკეტილია. აბა გადახედოთ ბულვარის ირგვლივ
სამიკიტნოები, რომ დღე-დამე ღიაა, მისთვისაც ყოველთვის
მუშტრით ა სავსე და ეს გაზეთების კანტორა ციხე ხომ არაა,
რომ დაკეტილი იყოს და მაინც ხალხით იყოს სავსე!...

საორსულო კასის გმირი ტერტერას ციხეში გული არ დას-
ცხომია. ტუსაღები არა ორსულდებიან რომ კასაში ჩავწეროთ-
ვო, და ისე-კი ჯიბე ზარალობსო. ამისათვის ციხიდამ მალე
გამოვიდა და როგორც მოგვითხრობენ ერთ ბნელ ღამეს ჩაუ-
ცვამს ჩოხა და თბილისში უკრავს თავი. თელაველები რომ
გავატყავე ტყავები უნდა ვავასაღოთ. გამიუშვეს მისი დამ-
ქაშებიც. ეხლა გასათხოვარ ქალთა ორსულობის კასას აარ-
სებენ..

20 ივლის ილიას ფონდის სასარგებლოდ გაიმართა სა-
ღამო, მაგრამ რის ფლავი, რის ბოზბაში. „ილიას საღამოს“
რასაკვირველია ყველამ მოწიწებით პატივი სცა და წვიდ
კიდეც, ხალხიც ბევრი დაესწრო, მაგრამ ჰოი საკვირველებავ,
ჰოი დიდებულო მგოსნის ხ ონავ, მოგვიტევე, ნუ გაგვირის-
ხდები, რომ შენი სახელით და დიდებით გამართულ საღამოს
შენი არაფერი ეცხო-რა. ამის მაგიერ ჩვენთა თვალთა იხილეს,

„ექსპროპრიაცია“... შარვალის ხახდამდე

ციგანკები, ორი ქალის ცეკვა, რომელიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მაღლა შეხტებოდა, ხოლო გვერდით ახალგაზრდობა ჩხუბსა და შფოთს ახდენდა. გულჩათუთქული დავბრუნდი სასტუმროში, გაჯავრებული მოვთხოვე გიორგის კახური, რომ თავი დავიწყებას მიმეცა. კლუბში-კი მუზიკა უკრავდა და ცეკვა გრძელდებოდა...

კიდევ ვიტყოდი რასმეს, მაგრამ ამ ხელად დავჩუმდები, თუმცა აქაური სულიერი მ.მანი „ნიშადურზე“ უკმაყოფილონი არიან, თუ-კი ქიზიყის მღვდლებს ასუნებინებენ ჩვენ რაღა ვართ, რომ ლამის არის საკმელის ბოლით დავიხვრჩეთ და ნიშადური ასე გვენატრებაო.

უკაცრაოთ მამანო, აი სწორედ ეხლა დავიბარე ჩემი სანჩო-პანჩო სოფლიდამ, თუ ამ წყეულმა ესდეკებმა ისიც არ გადამირიეს, ყველა სოფლებში ვაპირობ მოგზაურობას, ამიტომ არავის დავივიწყებთ და მიხეილ იოანნედამ დაწყობილი დიმიტრის და სამსონის, ისიდორეს და იროდიონს. მიხაკოს და ვასოს, გიორგის და ფიდოს ყველას ვასუნებინებთ „ნიშადურს“.

ვფიცავ იმ ორი პედაგოგის წვერს, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ ერთმანეთში, მაგრამ ერთად დადიან, ჩაიმღერიან, იხატებიან, იპირფერიან, ისარფებიან, იხოტბებიან იხუტებიან, იჩურჩურიან და „იტოგად“-კი (სხვებისგან) ირიგებიან, რომ ყველას ვესტუმრებით, მხოლოდ მხარ-ციბანი (მკვდრის ტაბლაზე იციან) იმათზე იქნება. **ერთი-კიდევ**

P. S. მართლა კინაღამ დამავიწყდა, ჩვენში-კი დარჩეს, თორემ მამა მიხაკო გაგვიწყრება. სუსტი კაცია ნიშადურს ვერ აიტანს. ბ-ნ ჯან-ვერდის წერილმა (ნიშადური № 54) დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და დაფარული იარები სულ აშალა. ბულვარნი კომიტეტი უკვე შ უდგა მის შესახებ ცნობების შეკრებას, რითაც თავის დროზე შევაზავებთ ნიშადურს.

ე. ქ.

ხონიდან ქუთაისამდე

ხონი—პარკობი:, წარმოდგენობია და გვარაძე.
კუხი—კანცელარია, სტრაჟნიკობია და პასპორტობია.
გუბი—პრაპაგანდისტობია, მქთამობია.
მაღლაკი—არღნობია, მგზავრების პარტყა-პურტყობია.
ქუთაისი—თეთრი ხიდი, ჭორიკანობია და აზზიანიძის წყალი.

ვასო.

ზნაკვა აქაურს [illegible]

სულით და გულით [illegible]
„ნიშადურისა„ მწყურია
და ვთხოვ რომ უმორჩილესათ
გვიბოძოს ნიშადურია,
აქ ცხოვრობს ერთი ალექსი,
ხელობით გამკითხველია,
ყვლეფავს და ყვლეფავს მიმსვლელებს
თვით გახდა ჯიბე სქელია;
მოგეხსნებათ რაჭველი
ისევ გონებით ბნელია,
ამით სარგებლობს ალექსი
ავსული ავის ქმნელია:
მინდა ამოვცხო ალექსის
ნიშადურისა წვეთები,
გამოვაფხიზლო ცოტათი
და გაუსწორო დავთრები!

რაჭველი შურდული.

მშვიდობით სატრფოვ...

მშვიდობით სატრფოვ, ვეღარ ვიხილავ
გრძნობით ალსავსე შენსა შავს თვალებს,
ვერ გავიგონებ შენს ციურს ხმასა,
ვერსად წაუვალ ჯალათის ბრჭყალებს...

მშვიდობით სატრფოვ, მშვიდობით მარად,
გშორდები, მივალ შორს-უცხო მხარეს,
ვეღარ ვიხილავ ტოლ-მეგობრებსა,
ჩემსა ტანჯულსა სამშობლო არეს.

მშვიდობით სატრფოვ, ნუ დამიტირებ,
ნუ მიეცემი ფიქრებსა მწარეს,
ეს კი იცოდე, ვერ დაგივიწყებ
გინდ ჩავესვენო ცივსა სამარეს!..

გრი—გრი.

წერილი რედაქციის მიმართ

შენიშვნა ბ. „ერიკს“. როგორც უკვე მკითხველ საზოგადოებას ვაუწყე „ნიშადურის„ 49 №-ში ბ-ნი კორესპონდენტი „ერიკის“ ფსევდ ნიმით გამოვიწვ ე სამედიატორო სამართალში. მას შემდეგ გავიდა თითქმის ერთი თვე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბ. „ერიკი“ ხმას ა იღებს. თუ ბ. „კორესპოდენტს“ უ.ტყუარი ფაქტები აქვს ხელში რატომ არ იხდის ნიღაბს და არ გამოაცხადებს თავის სახელ და გვარს. მაგრამ მე კი მ ფიქრება, რომ ბ-ნ „ერიკს“ უნდა საქმე ჩააფუჩეჩოს და ისევ ძველებურად მიყოს ხელი ლანძღვა-გინებას, განმ.ორებით გაძლევთ წინადადებას ბ-ნ „ერიკო“ თუ თქვენ ერთი კვირის განმავლობაში ამ წერილის დაბეჭდის შემდეგ არ გაგიციათ ჩემთვის პასუხი, მე სრული უფლება მექნება ყოველივე თქვენს მოჭორილს ამბავს ცილის წამება უწოდო და თან უსინიდისო მატყუარა დაგ ძახოთ, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს რედაქციაც და საზოგადოებაც.

სტუდენტი აპოლონ სვანიძე.

P. S. მიუხედავად იმისა, რომ მე ოდესაში ვიმყოფები, სრული ყმაყოფილებას ვაცხადებ მედიატორეების განაჩენზედ. ჩემი მედიატორეები უკვე დ სახელებულნი იყვნენ „ნიშადურის“ 49 №-ში.

ა. ს.

რედაქტორ-გამომც. **ვალერიან გუნია.**

ტფილი. ელექტრო-მბეჭდავი წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა. ვანქის დიდი ქუჩა.